დოკუმენტის დასახელება: Medicover -ის გარემოსდაცვისა და კლიმატური პირობების ცვალებადობის პოლიტიკა	დოკუმენტის სახეობა: ჯგუფური პოლიტიკა	ვერსია: 2.0
დამტკიცებულია: Medicover AB (publ) -ის დირექტორთა საბჭო	დოკუმენტის მფლობელი: აღმასრულებელი დირექტორი	დამოწმების თარიღი: 02.11.2021

Medicover -ის გარემოსდაცვისა და კლიმატური პირობების ცვალებადობის პოლიტიკა

1 შესავალი

Medicover -ის გარემოსდაცვისა და კლიმატური პირობების ცვალებადობის წინამდებარე პოლიტიკა (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „**პოლიტიკა**“) ვრცელდება Medicover -ის მთელ ჯგუფზე (Medicover AB (publ) და მის შვილობილი კომპანიები) („**Medicover“** ან „**Medicover company**“).

2 წინამდებარე პოლიტიკის მიზანი

წინამდებარე პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს გარანტია მასზედ, რომ Medicover ცდილობს მუდმივად გააუმჯობესოს და მართოს გარემოზე ზემოქმედება თავისი პროდუქტებისა და სერვისების მიწოდების მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. Medicover მოწოდებულია იზრუნოს გარემოზე და მიიღოს შესაბამისი ზომები კლიმატური პირობების ცვალებადობასთან და მის ზემოქმედებასთან საბრძოლველად. Medicover წარმოადგენს ეკოლოგიურად მდგრად ბიზნესს, რომელიც შეესაბამება პარიზის შეთანხმების მიზნებს.

აღნიშნული პოლიტიკა ასახავს ევროკავშირის ტაქსონომიაში დადგენილ გარემოსდაცვისათვის გასატარებელ ღონისძიებებსა და ამოცანებს:

- კლიმატური პირობების ცვალებადობის შემსუბუქება
- კლიმატური პირობების ცვალებადობის ადაპტაცია
- წყლის და საზღვაო რესურსების მდგრადი გამოყენება და დაცვა
- წრიულ ეკონომიკაზე გადასვლა
- დაბინძურების პრევენცია და კონტროლი
- ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების დაცვა და აღდგენა.

3 უშუალოდ ვისზე ვრცელდება აღნიშნული პოლიტიკა?

წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება Medicover-ის ყველა კომპანიაზე და მის თანამშრომლებზე (ქვემოთ განსაზღვრულის შესაბამისად).

4 განმარტებები

წინამდებარე პოლიტიკაში გამოყენებული ტერმინი „**დამსაქმებელი**“ მოიცავს და გულისხმობს ყველა იმ პირს, რომელიც მუშაობს ან მომსახურებას უწევს Medicover-ის რომელიმე კომპანიას, შრომითი ხელშეკრულებით არის დაქირავებული Medicover-ის მიერ ან თვითდასაქმებულს წარმოადგენს და Medicover-ს უწევს რაიმე ტიპის მომსახურებას. ტერმინი „**თანამშრომელი**“ ასევე მოიცავს Medicover კომპანიის დირექტორთა საბჭოს, მმართველ საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს და სხვა კორპორატიული ორგანოების ყველა წევრს.

5 საერთაშორისო სამუშაო ჩარჩოები და ანგარიშგება

Medicover წარმოადგენს გაეროს გლობალური შეთანხმების ხელმომწერ მხარეს და ნერგავს მდგრადობის საკუთარ ამოცანებს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების გათვალისწინებით.

გარემოსდაცვით საკითხებზე ანგარიშგებისას, Medicaover შეეცდება მოიძიოს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა, მათ შორის, და არა მხოლოდ OECD-ის გაიდლაინები, რომლებიც

უშუალოდ მრავალეროვნულ საწარმოებს, სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციებს კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური საკითხების გამჟღავნების შესახებ (TCFD) და გლობალური ანგარიშგების შესახებ ინიციატივას ეხება (GRI).

6 საოპერაციო ვალდებულებები

Medicover:

- განახორციელებს ყველა აქტივობას შესაბამისი გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად იმ ქვეყნებში, სადაც Medicover საკუთარ საქმიანობას ეწევა
- ბიზნეს გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინებს შესაძლებლობებს და რისკებს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით
- მონიტორინგს გაუწევს, გაზომავს და შეეცდება შეამციროს სათბურების გაზების ემისიები, რაც ჩვენი ოპერაციებიდან გამომდინარეობს
- დაიცავს მდგრადი ენერგიის მოდელს/სტრატეგიას, რომელიც ეფუძნება ეფექტურობას და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებას, სადაც ეს შესაძლებელია
- გააუმჯობესებს დისტრიბუციისა და ლოგისტიკური პროცესების ოპტიმიზაციას, რათა უფრო ეფექტური გახდეს გარემოს დაცვითი თვალსაზრისით
- პასუხისმგებლობით და შეუხრელად მართავს ბუნებრივ რესურსებს
- გააუმჯობესებს წყლის მართვას და ეფექტურობას შენობებში
- გაატარებს ზომებს ჰაერის, წყლის, ნიადაგის, ცოცხალი ორგანიზმებისა და საკვები რესურსების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად და შესამცირებლად
- თანდათანობით გადავა წრიულ ეკონომიკაზე რესურსების მაქსიმალური გამოყენების, ნარჩენების წარმოქმნის მინიმუმამდე შემცირებით, გადამუშავების პრაქტიკის გაძლიერებით და გადამუშავებადი მასალების გამოყენების შესაძლებლობის გაძლიერებით.
- შეიმუშავებს ციფრულ გადაწყვეტილებებს და სერვისებს გარემოზე დაბალი ზემოქმედების შენარჩუნებით
- განიხილავს და თანდათანობით დანერგავს გარემოსდაცვით მართვის სისტემებს, როგორიცაა ISO 14001 ან EMAS
- განიხილავს და შეეცდება მინიმუმამდე დაიყვანოს Medicover-ის არაპირდაპირი ზემოქმედება გარემოზე მისი ღირებულების ჯაჭვური მეთოდის მეშვეობით.

7 გარემოზე არსებული რისკების მართვა

Medicover:

- მოახდენს იდენტიფიცირებას, შეაფასებს, ჩაატარებს მონიტორინგს და მიიღებს ზომებს გარემოსთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკების შესამსუბუქებლად ორგანიზაციისა და ღირებულების ჯაჭვური მეთოდის მეშვეობით, და მოახდენს მათ ინტეგრირებას რისკის შეფასების მართვასა და ანგარიშგებაში.
- გაზრდის ოპერაციების და შენობების შესაძლებლობას, რათა მოხდეს მათი კლიმატური პირობების ცვალებადობის ადაპტირება და აღნიშნულ პირობებთან მედეგობის გაზრდა.

8 მმართველობა

აღმასრულებელი დირექტორი პასუხისმგებელია Medicover -ის გარემოსდაცვის და კლიმატური პირობების ცვალებადობის პოლიტიკასა და მათ შესრულებაზე. ამ მხრივ, აღმასრულებელი დირექტორი ანგარიშს უწევს დირექტორთა საბჭოს ქვეკომიტეტს.

9 თავსებადობა

Medicover უნდა იცავდეს ყველა მოქმედ კანონსა და რეგულაციას იმ ქვეყნებში, სადაც ის ოპერირებს და უნდა შეესაბამებოდეს ინდუსტრიის/სექტორის სტანდარტებს და აღნიშნულ დარგში ხელმისაწვდომ საუკეთესო პრაქტიკას. აღნიშნული პოლიტიკა ადგენს მინიმალურ მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, თუ სხვა კანონების, რეგულაციების დებულებებით, იქნება ეს ადგილობრივი, რეგიონული თუ საერთაშორისო, უფრო მკაცრი ზომები აქვთ დადგენილი აღნიშნულ პოლიტიკაში ნახსენები გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ, სავალდებულოა მოხდეს მათი გათვალისწინება და დაცვა. წინამდებარე პოლიტიკასა და სავალდებულო ადგილობრივ რეგულაციას შორის კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში, უპირატესობა ადგილობრივ მოქმედ რეგულაციას მიენიჭება

10 იმპლემენტაცია

ყველა დონის ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელნი არიან წინამდებარე პოლიტიკის განხორციელებასა და მათ დაცვაზე.

გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია ქვეყანაში არსებობდეს ადგილობრივი პოლიტიკა და ადგილობრივ პოლიტიკასა და წინამდებარე პოლიტიკას შორის გარკვეული შეუსაბამობის წარმოქმნის შემთხვევაში გამოყენებულ იქნას შედარებით მკაცრი პირობების მქონე პოლიტიკა. წინამდებარე პოლიტიკას უნდა გაეცნოთ Medicover -ის ქცევის კოდექსთან და Medicover მიმწოდებლის ქცევის კოდექსთან ერთად.

აღნიშნული ვერსიის ისტორია

ვერსია	*დამოწმების თარიღი*	*ავტორები*
1.0	28.11.2018	კორპორატიული დირექტორი კომუნიკაციები და IR
2.0	02.11.2021	ჯგუფის სტრატეგიული მრჩეველი

დოკუმენტის დეტალური მონაცემები

	როლი	*თარიღი*	*ხელმოწერა*
ავტორები	ჯგუფის სტრატეგიული მრჩეველი (რიჩარდ სენდსი)	19.10.2021	

ვიზირება

	როლი	*თარიღი*	*ხელმოწერა*
ვიზირებულია	აღმასრულებელი დირექტორი (ფრედრიკ რაგმარკი)	19.10.2021	
ხელმოწერილია	N/A		